სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #3

ქ. თბილისი **2023 წლის 07 აპრილი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. დავით ნებიერიძე 2. ელენე გაჩეჩილაძე 3. ლიკა წერეთელი 4. ილია თავხელიძე 5. ლია მაჭავარიანი 6. ამირან ბიბილაშვილი 7. მარიამ ახალკაციშვილი 8. ანა ბოკერია 9. მარიამ ვარდოსანიძე 10. ვასილ ბერიძე 11. დავით შუბითიძე 12. მარინა გარიშვილი 13. თამარ ჯინჭარაძე 14. ალექსანდრე გაბაშვილი 15. კახა კუჭუხიძე 16. ნინო პაქსაშვილი 17. იზაბელა პეტრიაშვილი 18. ბარბარე მამაგეიშვილი 19. ვლადიმერ მარგველაშვილი 20. კახაბერ ლორია 21. ელისაბდ ბჟალავა 22. ლერი თავაძე 23. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 24. ინგა სანიკიძე 25. გიორგი არქანია 26. საბა გიორგაძე 27. ნათია კორაშვილი 28. საბა ლოლაძე 29. ლუკა მამალაშვილი 30. ზურაბ გაიპარაშვილი 31. ნინო პავლიაშვილი 32. ციური სუმბაძე 33. სოფიო ხუციშვილი 34. ლალი ახალბედაშვილი 35. თეიმურაზ მაჩაიძე 36. თამილა ჩალაძე 37. ედიშერ ფუტკარაძე 38. მანანა ნიკოლაიშვილი 39. მარინე ხუციშვილი 40. ნოდარ ლომიძე 41. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თამარ მეფის 31-ში მდებარე 26363 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ: 01.81.02.253.004) და ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებული 109266.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ: 81.02.29.353) განკარგვის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
2. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე, ნაკვეთი N06/020, მდებარე უნივერისტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) ნაწილის, დაახლოებით 25,800 კვადრატული მეტრის გამიჯვნის, ცალკე მიწის ნაკვეთად რეგისტრაციისა და გასხვისების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე).

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად;

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაში მონაწილე პირებს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა და ყურადღება გაამახვილა რიგ საკითხებზე. კერძოდ, კიდევ ერთხელ მოუწოდა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებს დისკუსიის დაწყებისა და დიალოგისაკენ სტუდენტთა ჯგუფებთან უნივერსიტეტისათვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. ასევე აღნიშნა, რომ შედგა შეხვედრა უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებთან და ფაკულტეტზე არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ მათგან მოისმინა. მათ შორის, კვების ობიექტების, აუდიტორიების მდგომარეობის შესახებ და სხვა. თსუ რექტორმა აღნიშნა, რომ შეხვედრისას სტუდენტებს შესთავაზა ჩაერთონ საუნივერსიტეტო პრობლემების მოსაგვარებელ სატენდერო კომისიების მუშაობაში, რათა ერთის მხრივ, პროფილის მიხედვით მიიღონ შესაბამისი პრაქტიკა და, ამავე დროს, მეტი გამჭვირვალეობა შესძინონ სატენდერო პროცესებს. იგივე წინადადებით თსუ რექტორმა მიმართა სენატის წევრ სტუდენტებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაავალა მაქსიმალური ხელშეწყობა სამუშაო ჯგუფებში სტუდენტთა ჩართულობის კუთხით. აღინიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები სტუდენტებთან მომავალშიც გაგრძელდება.

თსუ რექტორი ასევე შეეხო უნივერსიტეტის ქონების განკარგვის საკითხებს და აღნიშნა, რომ პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე, რაც არაერთხელ დაფიქსირდა რექტორის მიერ, მათ შორის 2022 წლის დეკემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ არცერთი ქონების განკარგვა არ მოხდება უნივერსიტეტის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინების გარეშე და რომ თითოეული თეთრი მიმართული იქნება მკაცრად განსაზღვრული მიზნობრიობით. ამასთან, თსუ რექტორის მხრიდან გაჟღერდა ინიციატივა, მეტი ლეგიტიმურობისათვის, უნივერსიტეტის ქონების გასხვისებასთან და განკარგვასთან დაკავშირებით შესაბამისი კომისიის შექმნის შესახებ, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მონაწილეობით საუნივერსიტეტო საზოგადოებიდან, რათა კომისიის მიერ ადგილზე დათვალიერების, არსებული დოკუმენტაციის შესწავლის და გამოკლვლევის შედეგად მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული კონკრეტული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობისა და საჭიროების თაობაზე, შესაბამისი დასაბუთებითა და მკაფიო მიზნობრიობით.

თსუ რექტორი შეეხო ასევე მედიასაშუალებით გავრცელებულ არაზუსტ ინფორმაციას დღევანდელი დღის წესრიგით გათვალისწინებული ქონების განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე, თსუ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილის (მდ. ვერეს მიმდებარედ არსებული ხევის) გასხვისებით შემოსული თანხით იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტების

განხორციელება. მათ შორის, უნივერსიტეტის მე-5 სასწავლო კორპუსის გარემონტება, მე-10 სასწავლო კორპუსის ორი სართულის რემონტი და ინფრასტრუქტურის (გათბობის სისტემები, ლიფტები) მოწესრიგება, ასევე მე-4 სასწავლო კორპუსის გამაგრებითი სამუშაოები. რაც შეეხება სოფელ ტაბახმელაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას, აღინიშნა, რომ თსუ მას მხოლოდ სარგებლობის უფლებით ფლობს და ის არ წარმოადგენს თსუ-ის საკუთრებას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 16 წელია უნივერსიტეტი ვერ იყენებდა მას. ხოლო ტაბახმელაში არსებული მეორე ნაკვეთი თსუ-ის არც საკუთრებაშია და არც სარგებლობაში. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო კომპენსაციის სახით აღნიშნული ნაკვეთის საბაზრო ღირებულების 50 %-ს გადმოსცემს უნივერსიტეტს საუნივერსიტეტო კლინიკის შესაძენად. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილის თანახმად, აღნიშნული ქონების პრივატიზება განხორციელდება იმ პირობით, რომ ორივე უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების 50% ჩაერიცხება უნივერსიტეტს. ჩარიცხული თანხით კი უნივერსიტეტი გეგმავს საუნივერსიტეტო სამედიცინო კლინიკის წილის შესყიდვას, რომელიც უნივერსიტეტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნული ხელს შეუწყობს თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას პრაქტიკული კომპონენტის განვითარების გზით. ამავე დროს, კლინიკა მოემსახურება თსუ სტუდენტებსა და თანამშრომლებს. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ სარგებლობის უფლებით გადმოცემული, წლების განმავლობაში უფუნქციოდ არსებული ინფრასტრუქტურის ნაცვლად, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სწავლისა და პრაქტიკის ახალი შესაძლებლობები შეექმნას.

თსუ რექტორმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საუნივერსიტეტო სამედიცინო კლინიკის არსებობის მნიშვნელობას, მათ შორის ფინანსების მოზიდვისა და ამჟამად თსუ-ს მიერ გასაწევი ფინანსური რესურსის დაზოგვის კუთხითაც, სამედიცინო კლინიკებთან დღეს არსებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების გათვალისწინებით.

გამოსვლის დასასრულს, თსუ რექტორმა აღნიშნა, რომ მ.წ. 12 აპრილს, სიმბოლურად, ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით, გაჟღერდება ინფორმაცია 1-ელ და მე-2 სასწავლო კორპუსების უკან არსებულ ტერიტორიაზე ახალი კორპუსის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია, მსჯელობა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. დისკუსიაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (ილია თავხელიძე, ზურაბ გაიპარაშვილი, ინგა სანიკიძე, გიორგი არქანია), წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი, თსუ რექტორი ჯაბა სამუშია, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა საღინაძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

რამაზ ხომერიკი, აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელი გიორგი ლობჟანიძე, ასევე სენატის სხდომაზე დამსწრე უნივერსიტეტის სტუდენტები.

საუბარი შეეხო, როგორც ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე მეტი კომუნიკაციისა და ინფორმაციის არსებობის აუცილებლობას, ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე კომპანიის მხრიდან მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე შექმნილ პრობლემებს. აკადემიური საბჭოს წევრმა, მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელმა გიორგი ლობჟანიძემ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა უნივერსიტეტისათვის სამედიცინო კლინიკის ქონის სასიცოცხლო მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ კლინიკის გარეშე მათი ხვალინდელი დღე არ არსებობს. ვრცლად ისაუბრა ამ პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში მის სასიკეთო შედეგებზე. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, რამაზ ხომერიკმა მოუწოდა თსუ ადმინისტრაციას, რათა ტაბახმელის ტერიტორიის გასხვისების შედეგად მიღებული სარგებელი აუცილებლად მოხმარდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს და რომ მხოლოდ ამ პირობით არ იქნება წინააღმდეგი ფაკულტეტი აღნიშნული ტერიტორიის განკარგვაზე. თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პასუხად აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პირობებითა და დაგენილი წესით ქონების გასხვისების შემთხვევაში შემოსული თანხა მოხმარდება როგორც საუნივერსიტეტო სამედიცინო კლინიკის წილის შესყიდვას, ასევე სხვა, მათ შორის თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საჭიროებებს. თსუ კანცლერმა ასევე ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე თსუ სტუდენტმა საბა ქერქაძემ გამოხატა თავისი უარყოფითი პოზიცია ზოგადად უნივერსიტეტის ქონების პრივატიზებასთან და უნივერსიტეტის ქონების განკარგვის პოლიტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნდა მოიძიოს ალტერნატიული გზები არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, რამეთუ ქონების გასხვისებას მიიჩნევს პრობლემის ყველაზე მარტივ და არასწორ გადაწყვეტად და გამომდინარე აქედან, კომისიის შექმნა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

ხანგრძლივი დისკუსიისა და საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არასაკმარისი რაოდენობისა და შესაბამისად, ქვორუმის არ არსებობის გამო, კენჭისყრის პროცედურა გადაიდო ორშაბათისთვის, 2023 წლის 10 აპრილის 17 საათისთვის და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2023 წლის 07 აპრილის #3 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ნაზირა კაკულია -

2. მიხეილ ჩიკვილაძე -

3. ნინო ფარესამვილი -

4. ლელა ბახტაძე -

5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე -

2. საბა გოგიბერიძე -

3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე - ე. გაჩეჩილაძე

6. ლიკა წერეთელი-

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა მურვანიძე-

სტუდენტები:

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-

3. ვასილ ბერიძე-

4. დავით შუბითიძე-

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

1. მარინა გარიშვილი-

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუმანიშვილი-

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. ავთანდილ ტუკვაძე-

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

სტუდენტები:

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-

სტუდენტები:

1. ასპრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2. ანა ფაშაევა-

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბჟალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. საბა ლოლაძე-

5. ლუკა მამალაშვილი-

6. ლუკა ნარმანია-

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-